

## სპეციალიზაციის კურსი ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიაში კურსის ხანგრძლივობა: 3 (სამი) თვე

### 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია შეასწავლოს ექიმ-მსმენელს ბავშვთა სტომატოლოგიის საგნის არსი, მიმართულებები; ბავშვის განვითარების ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, ყბა სახის მიდამოს ზრდისა და ეტაპობრივი განვითარების კანონზომიერებები; მიაწოდოს ინფორმაცია სტომატოლოგიურ კლინიკაში ბავშვის გამოკვლევის მეთოდების, ორგანიზმის ზოგადი და სტომატოლოგიური დაავადებების ურთიერთკავშირის, ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის და განვითარების მაპროვოცირებელი რისკ-ფაქტორების და ამ ფაქტორთა თავიდან აცილების ან მათი გავლენის შესუსტების თანამედროვე საშუალებები და მეთოდები. ბავშვთა ასაკის თერაპიულ სტომატოლოგიის ყველა ძირითადი ნაწილის – კბილების არაკარიესული დაზიანებების, კარიესისა და მისი გართულებების, პაროდონტის ქსოვილთა, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენისა და ტუჩების დაავადებების დიაგნოსტიკის, დიფ. დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების შესწავლა; მოუმზადოს ექიმს საფუძველი კლინიკაში ბავშვთა ასაკის პაციენტებთან დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობისათვის.

### 2. პროგრამის ამოცანები

სპეციალიზაციის კურსის პროგრამა განკუთვნილია საბაზისო სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული სტომატოლოგისათვის, რომელსაც გავლილი აქვს რეზიდენტურის პროგრამა მოზარდთა თერაპიულ სტომატოლოგიაში.

პროგრამის გავლის შედეგად მსმენელმა უნდა აითვისოს: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კომპლექსური სისტემის დანერგვის ორგანიზციის პრინციპები; სტომატოლოგიურ კლინიკაში ბავშვის მომზადებისა და გამოკვლევის მეთოდები; სტომატოლოგიურ და სომატურ დაავდებათა ურთიერთკავშირი, კბილის კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა წარმოშობისა და განვით რების მაპროვოცირებელი რისკ-ფაქტორები და მათი თავიდან აცილების ან გავლენის შესუსტების თანამედროვე საშუალებები და მეთოდები.

### 3. სპეციალიზაციის კურსის პროგრამის აქტუალურობის დასაბუთება

ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია სტომატოლოგიური სამსახურის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც დღეისათვის მიაღწია ისეთ წარმატებებს, რაც საშუალებას გვაძლევს რეალიზებულ იქნეს სტომატოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა – ბავშვი გაიზარდოს ჯანმრთელი კბილებით და პირის ღრუს ორგანოებით. საგულისხმოა, რომ კბილებისა და პირის ღრუს რბილი ქსოვილების დაავადებათა თავიდან აცილება უზრუნველყოფს მრავალი სომატური დაავადებების პროფილაქტიკას, რომელთა წარმოშობა უმეტესად დაკავშირებულია პირის ღრუსი არსებულ ინფექციურ კერებთან.

პროფილაქტიკური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის საფუძველზე აღინიშნება სტომატოლოგიურ დაავადებათა ინტენსიურობის მნიშვნელოვანი შემცირება, რადგან ბავშვის ჩასახვის პერიოდიდანვე იწყება რისკის ფაქტორების განსაზღვრა და მათ წინააღმდეგ მიმართული პროფილაქტიკური საშუალებების გამოყენება, რომელთა სრულყოფილად ჩატარება იძლევა საშუალებას შენარჩუნებულ იქნეს ჯანმრთელ ბავშვთა კონტინგენტი.

ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია მოიცავს ბავშვთა დაავადებების ყველა ძირითად ნაწილს, თითოეულ მათგანში აღინიშნება საკუთარი სპეციფიკა, განკირობებული ბავშვის ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბავშვთა სტომატოლოგიური დაავადებების მიმართ გაზრდილი ინტერესი მცირებულოვან პაციენტთა რაოდენობის ზრდაში განაპირობა, რასაც მეცნიერები უკავშირებენ ეკოლოგიურ ფაქტორთა არასასურველ ზემოქმედებას, ბუნებრივი წონასწორობის დისბალანსს, საყოფაცხოვრებო პირობებისა და საკვებ პროდუქტთა ხარისხის გაუარესებას.

კბილების, პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მდგომარეობა, როგორც წესი, წარმოადგენს ორგანიზმში მიმდინარე პორმონული, იმუნური, ცვლის პროცესების და სხვა ობიექტურ მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის სტომატოლოგიაში ფართოდ დანერგვის გამო, აუცილებელი გახდა სტომატოლოგიური სფეროს გაფართოება და შესაბამისად, ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ როგორც მოზრდილ, ისე პატარა პაციენტებისათვის კვალიფიციური სტომატოლოგიური დახმარების გაწევას.

#### 4. პროგრამის შინაარსი

პროგრამის გავლისას ექიმმა უნდა შეიხვავლოს ბავშვთა კონტინგენტში სტომატოლოგიის ყველა გლობალური პრობლემა:

სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ორგანიზაციის თეორიული საფუძვლები: ზოგადი და ადგილობრივი პროფილაქტიკა.

კბილების არაკარიესული დაზიანებები, მისი დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა.

კბილის კარიესი – მიმდინარეობის თავისებურებანი დროებით კბილებში, გართულებული კარიესის – პულპის და პერიოდონტის ანთებითი დაავდებები ბავშვებში, მიმდინარეობის თავისებურებანი სარძევე და მუდმივ კბილებში, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები. ბავშვთა პრაქტიკაში გამოყენებული საბუნები მასალები.

პაროდონტოლოგიის საკითხები ბავშვთა და მოზარდთა პრაქტიკაში – დიაგნოსტიკა, დიფ-დიაგნოსტიკა მკურნალობის მეთოდები.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებები ბავშვთა ასაკში: ტრავმული დაზიანებები, ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადებები, ვირუსული ინფექციები, სოკოვანი ინფექციები, ალერგიული და სომატური დაავადებები, გლოსიტები, ჰეილიტები – მათი დიაგნოსტიკა დიფერენციალური დიაგნოზი, მკურნალობის თავისებურებანი ასაკის გათვალისწინებით.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა	შესასრულებელი მანიპულზციების რაოდენობა
1. ბავშვის ფსიქოლოგიური მომზადება ასაკისა და ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით	
2. სტომატოლოგიური გამოკვლევა (ანამნეზური მონაცემების მოპოვება, პირგარეთა და პირშიგნითა გამოკვლევა, დამხმარე გამოკვლევების ცოდნა და საჭიროების შემთხვევაში მათი მონაცემების წაკითხვა და შეფასება, მკურნალობის გეგმის შედგენა)	აღნიშნული გამოკვლევები სრულდება ყველა პაციენტის მიღებისას (60)
3. პირის ღრუს ჰიგიენის ინდექსების (ფეოდოროვ-ვოლოდკინის, გრინ-გერმილიონის) გამოვლის მეთოდის ათვისება, პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის ჩატარება და ინდივიდუალური	

საშუალებების შერჩევა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.	
4. კარიესის პროფილაქტიკის საშუალებების ცოდნა და შერჩევა, ინდივიდუალური პროფილაქტიკის პროგრამის შედგენა და მისი რეალიზაცია (კბილის მაგარ ქსოვილთა მარემინერალიზებული საშუალებების და მეთოდის შერჩევა ასაკის გათვალისწინებით, ჰელიუმ-ნეონის სხივის გამოყენება, ფისურების პერმეტიზაცია კარიესის პროფილაქტიკისათვის)	30
5. პაროდონტის ქსოვილთა მდგომარეობის განსაზღვრა პაროდონტული ინდექსების (PMA, CPITN) საშუალებით. მიკროელემენტებისა და ვიტამინების დანიშვნა; თანკბილვის ანომალიების, ენის და ტუჩის ლაგამის, პირის კარიბჭის სიღრმის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაცია	20
6. არაკარიესული წარმოშობის დაავადებათა ზოგადი და ადგილობრივი მკურნალობა; ასაკის და დაავადების სიმძიმის გათვალისწინებით	5
7. კარიესისა და მისი გართულებული ფორმების (ჰულპიტი, ჰერიოდონტიტი) მკურნალობა, სამკურნალო სარჩულისა და მუდმივი ბჟენის სწორად შერჩევა ასაკის და კბილის ფესვის ფორმირების გათვალისწინებით; დროებითი და მუდმივი კბილების (ფორმირებული და არაფორმირებული ფესვებით) ენდოდონტია, არხის შემავსებელი საბჟენი მასალის შერჩევა და არხების დაბჟენის ტექნიკა;	20
8. პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენისა და ტუჩის დაავადებათა დიაგნოზის მიხედვით პათოგენეზური ზოგადი და ადგილობრივი მკურნალობის შერჩევა და დანიშვნა; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის კლინიკური და	15

<p>მიკრობიოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.  ანტიმიკრობული, ანტივირუსული და სხვა  მკურნალობის ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში  მედიცინის სხვა დარგის სპეციალისტებთან  კონსულტაცია (პედიატრთან, ენდოკრინოლოგთან,  ორთოდონტთან და სხვა)</p>	
---	--

### 5. მოდულის შეფასების მეთოდები

1. თეორიული ცოდნის შეფასება ხდება ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ გავლილი მასალის ზეპირი გამოკითხვის და ტესტური შემოწმების საფუძველზე.

2.პრაქტიკული უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ. განისაზღვრება პრაქტიკული სამუშაოს რა ნაწილს ასრულებს მაძიებელი დამოუკიდებლად და პედაგოგის დახმარებით.

### 6. აუცილებელი და რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

1. თ. შიშნიაშვილი – სტომატოლოგიურ დაავდებათა პროფილაქტიკა – თბილისი, 2004, 2012.
2. თ. შიშნიაშვილი – ბავშვთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია – თბილისი, 2004.
3. Л.Ю. Орехова, С.Б. Улитовский, Т.В. Кудрявцева и др. – Стоматология профилактическая – Москва, 2005.
4. О.Е. Ткачук – Стоматология детского возраста – Ростов-наДону – 2008
5. И.К. Луцкая – Профилактическая стоматология, Москва – 2009
6. Детская терапевтическая стоматология – под редакцией В.К. Леонтьева, Л.П. Кисельниковой – Москва, 2010.